საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არღუნი

არღუნი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში (ჭონქაძის თემში), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. დუშეთისხევის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 1200 მ, დუშეთიდან 7 კმ. 163 მცხ. (2014).

სოფელში იდგა პეტრე და პავლე მოციქულების შუა საუკ. ერთნავიანი ეკლესია, რ-იც XX ს. 30-იან წლებში დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს (ასეთივე ბედი ეწია სოფლის სხვა სალოცავებსაც). მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინ-ტის თანამშრომელთა და სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით, არქიტექტორების გ. ქალებაშვილის, ა. შავერდაშვილის და ნ. მინდორაშვილის მეთვალყურეობით ძეგლი აღდგენილია 1990 თითქმის თავდაპირველი სახით.